ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N24

2022 წლის 25 მაისი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 121-ე მუხლის მე-3 პუნქტის და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 18 მაისის N114-11422138199 მომართვის შესაბამისად:

1.მიეცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს (ლ.ზოიძე) თანხმობა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების, ქ. ქობულეთში, თავისუფლების ქუჩა N13-ში მდებარე 1024,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 1177,0 კვ.მ შენობა ნაგებობის (ს/კ N20.42.06.241) გასხვისების თაობაზე, უძრავი ქონების ფუნქციური დანიშნულების შეცვლის გამო;

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 ოქტომბრის N49 განკარგულებით ქ. ქობულეთში, თავისუფლების ქუჩა N13-ში მდებარე 1024,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 1177,0 კვ.მ შენობა ნაგებობის (ს/კ N20.42.06.241) საპრივატიზებო საფასური განსაზღვრულია 460800 (ოთხას სამოცი ათას რვაასი) ლარის ოდენობით;

3.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ლ.ხახუტაიშვილი);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ. მჭედლიშვილი